



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17-18 დეკემბერი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 აპრილი, 2021 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმატიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 28.09 .2012 - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #465

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სანაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა დიხამინჯია; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ოთარ ქირია; სსიპ - ილიას სახელმწიფო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია საქართველოში 1962 წლიდან ინფორმატიკის სპეციალისტის მომზადების ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია.
- ტრადიციის მატარებელი და გამგრძელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები მრავალწლიან კვლევისა და სწავლების გამოცდილებას ეყრდნობა.
- აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის მრავალრიცხოვანი შემადგენლობა, რომელიც ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას, პროგრამის მდგალობას და განვითარებას უწყობს ხელს.

წარმოდგენილმა საბაკალავრო პროგრამამ არაერთი (იხ. თვითშეფასება 2001, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018) მოდიფიცირება განიცადა და მიმდინარედ 240 ECTS კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები 135 ECTS (მათ შორის საწარმოო პრაქტიკა - 5 ECTS მოცულობით).
- სპეციალობის არჩევითი კურსები - 85 ECTS კრედიტის მოცულობით (მათ შორის კონცენტრაცია, რომლის მოცულობა შეადგენს 30 ECTS კრედიტს, სადაც 10 ECTS კრედიტი გამოყოფილია - საბაკალავრო პროექტზე და 20 ECTS - სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებზე),
- პროგრამაში გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტები - 20 ECTS. თავისუფალი კომპონენტებიდან სასწავლო კურსის არჩევასთან დაკავშირებით სტუდენტს აქვს სრული თავისუფლება.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- ქვეყანაში COVID19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ვიზიტი სრულიად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს და ინსტიტუციის წარმომადგენლებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაში გვიწევდა მუშაობა. ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გასაუბრებები, სრულად ვერ გადმოსცემდა იმ ემოციურ მუხტს და ასახავდა გარემო პირობებს, რომელიც ინსტიტუციაში სუფევს.
- ამასთან აკრედიტაციის პროცესი, ორ დღიანი იყო და მოიცავდა როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციას. რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები ახლდა თან - უდავოდ დადებითი იყო, რომ ამგვარმა ფორმატმა პროგრამის შინაარსზე დინამიკაში დაკვირვების საშუალება მოგვცა და ცალსახად ჩანდა საფეხურებს შორის ბმისა თუ კვეთის წერტილები. თუმცა, დროის სიმცირე და ელექტრონული ფორმატი გარკვეულწილად შემზღუდავ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ, მეტადრე ზოგიერთი სტანდარტის შესამოწმებლად ერთი მეხვედრა იყო ჩანიშნული სამივე პროგრამისათვის.
- აკრედიტაციის პროცესი ეთიკური ნორმების დაცვით, კოლეგიალურ და მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა შემდეგნაირად:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

რეკომენდაციები

- სამიზნე ნიშნულების ცხადად დადგენა და შესრულების მონიტორინგი
- თანახელმძღვანელების/კოორდინატორების გამოყოფა კონცენტრაციების მიხედვით.
- დაკორექტირდეს „ხელოვნური ინტელექტი ვებ-საიტებში“ სილაბუსი, რომ მიზნები, შედეგები და შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს კურსის დასახელებასთან.
- დაკორექტირდეს „მობილური აპლიკაციების დაპროგრამება Android-თვის“ სილაბუსი, რომ აღმოიფხვრას თანაკვეთა სხვა კურსის თემებთან.
- სასწავლო კურსებში „ფიზიკა1“, „ფიზიკა2“ და „ფიზიკა3“ დავალებების შეფასებები განაწილდეს სემესტრის განმავლობაში.
- კურსებში: ოპერაციული სისტემების საფუძვლები, კომპიუტერული სისტემების არქიტექტურის საფუძვლები, კომპიუტერული სტრუქტურული ორგანიზება, ინტელექტუალური სენსორები, მიკროკონტროლერების არქიტექტურა, დრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები, ჩამენებული სისტემები, კომპიუტერული სიმულაცია - დამხმარე ლიტერატურაში რუსულენოვანი წიგნები ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანი წიგნებით.
- კურსში „ინტელექტუალური სენსორები“ განახლდეს დამატებითი ლიტერატურა.
- კურსი „სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა“ გასწორდეს სრულად.
- კურსში „სი„შესავალი კონტროლერებში“ შეიცვალოს გამოყენებული სისტემები და ლიტერატურა.
- კურსში „აუდიო-ვიდეო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია“ განახლდეს და გასწორდეს ლიტერატურა კურსის საკითხების შესაბამისად.

- კურსში „განაწილებული და პარალელური გამოთვლები“ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს კურსის წინაპირობა, საკითხები და ლიტერატურა.
- კურსში „გეოსაინფორმაციო სისტემები“ ძირითად ლიტერატურად შეირჩეს გეოსაინფორმაციო სისტემების საფუძველთან დაკავშირებული ლიტერატურა. ასევე მიეთითოს, რომელი პროგრამა გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად.
- კურსში „კომპიუტერული ხედვა“ ჩასწორდეს კურსის მიზნები. ასევე ჩასწორდეს კურსის სწავლის შედეგები ან შეიცვალოს კურსის შინაარსი ისე, რომ არსებული სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი.
- კურსებში „დიდი მონაცემების მართვა“, „ღრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები“, „ბლოკჩეინი და მისი გამოყენებები“ დაზუსტდეს, რას მოიცავს პრაქტიკული დავალებები.
- კურსში „რობოტიკის“ ლაბორატორიული სამუშაოები შესრულდეს საბაკალვრო დონის სისტემებზე.
- კურსში „ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა“ დაემატოს კურსის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურა. გნალების ციფრული დამუშავება“ მიეთითოს, რა პროგრამა გამოიყენება სიგნალების დამუშავებისთვის პრაქტიკულ დავალებებში.
- კურსში „ზოგადი ელექტრონიკა“ დაემატოს ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება.
- კურსში „მულტიმედია ტექნოლოგიების საფუძვლები“ პრაქტიკული ნაწილი მოვიდეს თეორიულ ნაწილთან შესაბამისობაში.
- დაკორექტირდეს ცალკეულ კურსებში დამუშავების წინაპირობები ამ კურსების შინაარსის შესაბამისად.
- მენეჯმენტის სქემის დახვეწა:
 - პროგრამა საკმაოდ მოცულობითია და პროგრამის ხელმძღვანელს, სასურველია ჰყავდეს მაგ. მოდულების/კონცენტრაციების მიხედვით თანახელმძღვანელები
 - სამიზნე ნიშნულების დადგენა და მონიტორინგი
- მოტივაციის სქემის შემუშავება:
 - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- განისაზღვროს დამატებითი ზღვარი ეროვნულ გამოცდებში მათემატიკის კომპტენციისთვის
- გადაიხედოს ყველა კურსი (არა მხოლოდ ჩამოთვლილი მაგალითები) და შევიდეს შესაბამისი შესწორებები. კურსების გადახედვა შეიძლება მოხდეს კოლეგების მიერ (ე.წ. peer review);
- მიზნებში უფრო ცხადად გაიწეროს პროგრამის მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ელემენტები.

ექსპერტთა ჯგუფი ერთობლივად გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პასუხი კოლეგიალური და თანამშრომლობითია. დაწესებულების პასუხში წარმოდგენილი პოზიციები, მეტწილად

ემთხვევა დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს თუ რჩევებს და რიგ შემთხვევაში უკვე ასახულია პროგრამაში.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა რეკომენდაციები დარჩენილიყო უცვლელი. ზეპირი მოსმენის დროს საბჭოზე საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი დეტალურად, ვერბალური განხილვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიდწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი ინფორმატიკის ბაკალავრები, რომლებიც შეძლებენ:

- ინფორმატიკის დარგში კომპიუტერული სისტემებისა და კომპიუტინგის გარემოს დიზაინის შემუშავებასა და სამომხმარებლო აპლიკაციების განვითარებას, შესაბამისი ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრას;
- ინფორმატიკის დარგში პროგრამული, აპარატურული, პროგრამულ-აპარატურული სისტემების ექსპლუატაციას, ადმინისტრირებას და სერვისულ მომსახურებას;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე შესაბამისი მეთოდების, ხერხების და ინსტრუმენტების - პროგრამული და აპარატურული საშუალებების გამოყენებას სხვადასხვა ინდუსტრიულ დარგში.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, რეალისტურია და მიღწევადი მოცემული პროგრამით. მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. თუმცა მიზნებში ცხადად და გამოკვეთილად არაა ასახული, თუ რა წვლილი შეაქვს კურსდამთავრებულს საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნებში ასევე არაა აახული ინტერნაციონალიზაციის საკითხები, მაგრამ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ACM სტანდარტები და უცხოური უნივერსიტეტების პროგრამები.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას: „მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.“

მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობების რუკა.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომლებიც ეყრდნობა უსდ-ს მიერ ადგილობრივი ვაკანსიების კვლევას, ისევე როგორც სხვადასხვა სახელმწიფო სტრატეგიებს და გაზიარებულია პროგრამის განვითარებაში ჩართული ადგილობრივი ტექნოლოგიური კომპანიების მიერ. პროგრამის მიზნები გაზიარებულია მის განვითარებაში ჩართული პროფესორების, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სტუდენტების მიერ. პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ უსდ ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუები დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზნებში უფრო ცხადად გაიწეროს პროგრამის მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებამ შეტანილი წვლილის ელემენტები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ცოდნის უნარების და პასუხისმგებლობების ჩამონათვალი - წარმოდგენილია თეორიისა და პრაქტიკის გავშირები, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის გავლისას და მისი დასრულებისას მიაღწევს, ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს საფუხურის შესაბამისად.

○ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება და პროცესის დონეზე ჩანს PDCA ციკლის წარმოება, რაც პროგრამის გაუმჯობესებას უწყოს ხელს, თუმცა სამიზნე ნიშნულები (კონკრეტული სამოქმედო გეგმა, გაუმჯობესების არეალები) რიგ შემთხვევებში დახვეწას და უფრო ცალსახა წარმოდგენას საჭიროებენ. ○ დოკუმენტაციაში იკითხება პროგრამის მიზნებსა და ბაზრის დაკვეთებთან შესაბამისობა. ასახულია ყველა ჩართული მხარის მოთხოვნები როგორც აკადემიური ასევე დასაქმების ბაზრის პერსპექტივიდან. ეს ინფორმაცია გაზიარებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ○ პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასების მრავალმხრივი/მრავალკომპონენტიანი (როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი) მექანიზმები, რომელიც წინასწარაა შეთანხმებული და გაზიარებული ყველა ჩართულ მხარესთან. ○ პროგრამაში შემავალი კურსების მოცულობისა და პერსონალის ოდენობიდან გამომდინარე, ერთი ხელმძღვანელის პირობებში, რთულია პროგრამის სრულფასოვანი მართვა და მიღებული შედეგის კონტროლი, შესაბამისად, მენეჯმენტის დონეზე პასუხისმგებლობების გადანაწილება/გამიჯვნა ურიგო არ იქნებოდა. ○ პროგრამის მრავალკომპონენტიანობიდან და კონცენტრაციის სიუხვიდან გამომდინარე სასურველია რომ პროგრამის ხელმძღვანელს ჰყავდეს თანახელმძღვანელი/კოორდინატორი კონცენტრაციების მიხედვით
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ უსდ ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუები დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: • სამიზნე ნიშნულების ცხადად დადგენა (გეგმის და შესაბამისი ამოცანების წარმოება) და შესრულების მონიტორინგი და გაუმჯობესების გზების დასახვა • თანახელმძღვანელების/კოორდინატორების გამოყოფა კონცენტრაციების მიხედვით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმატიკა“ სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით. პროგრამაზე დაშვებისთვის არ არის განსაზღვრული დამატებითი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მათემატიკაში, გარდა თავად ეროვნული გამოცდებით განსაზღვრული ზღვრისა. ვინაიდან პროგრამა დატვირთულია მათემატიკური საგნებით, სასურველია, განისაზღვროს ეროვნული გამოცდებით განსაზღვრულ ბარიერზე მეტი ზღვარი, რომ სტუდენტს არ გაუჭირდეს ამ საგნების დაძლევა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია (განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე).	მტკიცებულებები/ინდიკატორები • „ინფორმატიკა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://gtu.ge/
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის განისაზღვროს დამატებითი ზღვარი ეროვნულ გამოცდებში მათემატიკის კომპეტენციისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმატიკა“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; მისი შემუშავებისას გამოყენებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი და ინფორმაციული სისტემებისთვის საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციის „გამომთვლელი მანქანების ასოციაციის“ რეკომენდაციები (<https://acm.org/education/curricula-recommendations>).

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები კურსების ნაწილში განსაზღვრულია სწორად გარდა შემდეგი კურსებისა:

- „ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები“, „შესავალი ვებ-ტექნოლოგიებში“ საგნების წინაპირობაა „შესავალი მონაცემთა ბაზებში და მათ გამოყენებაში“, რაც სრულიად ალოგიკურია, ვინაიდან ამ კურსების სილაბუსში განხილულია კლიენტის მხარეს დაპროგრამების ენები, რომლებსაც არ აქვთ კავშირი მონაცემთა ბაზებთან.
- „ინფორმაციული სისტემების არქიტექტურა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები“ საგნების წინაპირობაა „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება“. ამ კურსების სილაბუსში განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ზოგადი საკითხები, ამასთან პრაქტიკული მეცადინეობები სრულდება ძირითადად MS Visio და

MS Excel პროგრამების საშუალებით, რაც არ საჭიროებს ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ცოდნას.

- „მობილური აპლიკაციების დაპროგრამება Android-თვის“ საგნის წინაპირობაა „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (C++/C#-ის ბაზაზე)/(Python-ის ბაზაზე)“, თუმცა კურსი სრულად ეხება Java ენას, ამიტომ სასურველია წინაპირობაც იყოს „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები Java-ს ბაზაზე“.
- კურსში „შესავალი კონტროლერებში“ წინაპირობა - კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საფუძვლები არაა რელევანტური. კურსის საკითხები მოითხოვს, რომ წინაპირობა იყოს „ელექტრონიკის საფუძვლები“.
- კურსში „განაწილებული და პარალელური გამოთვლები“ წინაპირობად მითითებულია დაპროგრამება პითონზე. იმავე დროს, კურსში მოცემული მაგალითები სრულდება c++-ზე. უნდა მიეთითოს შესაბამისი კურსი.
- კურსში „კომპიუტერული ხელვა“ წინაპირობად მითითებულია „ხელოვნური ინტელექტი“. კურსი მხოლოდ მცირედ ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის საკითხებს. იმავე დროს, მას სჭირდება სიგნალის დამუშავების საკითხები, რომლებიც გავლილია კურსში „ციფრული სიგნალის დამუშავება“.
- კურსში „დიდი მონაცემების მართვა“ წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, რომელიც მცირე კავშირშია კურსის საკითხებთან. კურსი მოითხოვს მონაცემთა ბაზების ცოდნას, რომელიც მოცემულია კურსში „მონაცემთა ბაზების დაპროექტება (SQL-სერვერის და MySQL-ის ბაზაზე)/(SQL-სერვერის და NoSQL-ის ბაზაზე)“
- კურსში „რობოტიქსი“ წინაპირობად მითითებულია „შესავალი კონტროლერებში“, რომელიც არ ფარავს კურსისთვის საჭირო ყველა საკითხს. ასევე საჭიროა წინაპირობად „ინტელექტუალური სენსორების“ დამატება.
- კურსს „კომპიუტერული სიმულაცია“ წინაპირობა არ გააჩნია. თუმცა რიცხვითი მეთოდების ცოდნის გარეშე რთული იქნება კურსის ათვისება.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; იგი ითვალისწინებს 8 კონცენტრაციას, თითოეული 30 ECTS კრედიტის მოცულობით, საიდანაც საბაკალავრო ნაშრომი არის 10 ECTS კრედიტი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმატიკა“ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას - სპეციალობის არჩევითი კომპონენტი შეადგენს 85 ECTS კრედიტს, ხოლო თავისუფალი კომპონენტი 20 ECTS კრედიტს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული ლექტორები, კურსდამთავრებული, სტუდენტი და დამსაქმებელი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას (განთავსებულია უსდ-ს ვებ გვერდზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ინფორმატიკა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარი
- საგანმანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი <https://gtu.ge/>

რეკომენდაციები:

დაკორექტირდეს ცალკეულ კურსებში დაშვების წინაპირობები ამ კურსების შინაარსის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმატიკა“ სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, გარდა შემდეგი კურსებისა:

- კურსში „ხელოვნური ინტელექტი ვებ-საიტებში“ სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები არ შეესაბამება კურსის დასახელებას. ამასთან, სასწავლო კურსის შინაარსში მცირე ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტის ვებ-სივრცესთან დაკავშირებულ საკითხებს (მხოლოდ 4 თემა).
- კურსში „მობილური აპლიკაციების დაპროგრამება Android-თვის“ საწყისი 4 სალექციო თემა ეთმობა Java ენის სინტაქსის შესწავლას. უმჯობესია წინაპირობაში იქნეს მოთხოვნილი Java ენის ცოდნა და ეს 4 კვირა დაეთმოს უშუალოდ Android პროგრამირების სპეციფიკურ საკითხებს.
- სასწავლო კურსებში „ფიზიკა1“, „ფიზიკა2“ და „ფიზიკა3“ შუალედური გამოცდა არის 30 ქულიანი, ფინალური გამოცდა - 40 ქულიანი, ხოლო დავალებები - 30 ქულიანი. დავალებები ერთიანად ბარდება და ფასდება სემესტრის ბოლოს. შესაბამისად, შეფასება ძირითადად ხორციელდება სემესტრის ბოლოს. რეკომენდირებულია, სემესტრის ბოლოს შეფასება არ აღემატებოდეს საბოლოო შეფასების 40%-ს და დანარჩენი შეფასებები განაწილდეს სემესტრის განმავლობაში.
- კურსებში: ოპერაციული სისტემების საფუძვლები, კომპიუტერული სისტემების არქიტექტურის საფუძვლები, კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზება, ინტელექტუალური სენსორები, მიკროკონტროლერების არქიტექტურა, დრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები, ჩაშენებული სისტემები, კომპიუტერული სიმულაცია - დამხმარე ლიტერატურაში ერთი ან რამდენიმე რუსულენოვანი ლიტერატურაა მითითებული. ვინაიდან საბაკალავრო პროგრამაში არ მოითხოვება რუსული ენა და ამასთან, ინფორმატიკის უახლესი მასალები და წიგნები ქვეყნდება ინგლისურ ენაზე, რეკომენდირებულია რუსულენოვანი წიგნების ჩანაცვლება ინგლისურენოვანი წიგნებით. კურსში „ინტელექტუალური სენსორები“ დამატებითი ლიტერატურა მოძველებულია. საჭიროა ლიტერატურის განახლება.
- კურსი „სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა“ - სიტყვათა კომბინაცია დარგობრივად დახვეწას საჭიროებს - შინაარსობრივად არასწორია, შესაძლოა შეცდომითაა აკრეფილი.
- კურსში „სიგნალების ციფრული დამუშავება“ არ ჩანს, რა პროგრამა გამოიყენება

სიგნალების დამუშავებისთვის პრაქტიკულ სამუშაოში.

- კურსში „ზოგადი ელექტრონიკა“ არ ჩანს ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება.
- კურსში „მულტიმედია ტექნოლოგიების საფუძვლები“ პრაქტიკული ნაწილი სრულად ეთმობა Adobe Photoshop პროგრამის საბაზისო ფუნქციონალობის შესწავლას, როცა თეორიულ ნაწილში განიხილება ზოგადად მულტიმედია სისტემები, მათ შორის აუდიო სიგნალის დამუშავება. რეკომენდირებულია, კურსის პრაქტიკული ნაწილი შეეაბამებოდეს თეორიულს.
- კურსში „შესავალი კონტროლერებში“ სწავლის შედეგები ძირითადად ითვალისწინებს არდუინოს კონტროლერს. ამავე კურსის სწავლის შედეგები ზოგადია და არაა კონტროლერების სპეციფიკაზე მორგებული. თავად კურსში გამოიყენება FLProg სისტემა, რომელიც არის რუსული სისტემა. ძირითადი ლიტერატურა, რომელიც კურსის ლექტორს ეკუთვნის, ითვალისწინებს არდუინოს და Flprog სისტემის შესწავლას. კურსში ლაბორატორიული სამუშაო მოცემულია ზედმეტი დეტალიზაციით, რომელიც არ უტოვებს სტუდენტს სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობას. რეკომენდირებულია მოცემული კურსის სრულად შეცვლა და თანამედროვე სისტემებითა და ლიტერატურით სწავლება.
- კურსში „აუდიო-ვიდეო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია“ ძირითადი ლიტერატურა არის ძველი და ნაკლებად ითვალისწინებს კურსში მოცემულ თემებს: ჯვარშეიშვილი გ., ოსეფაიშვილი ი., ცხაკაია კ. - „კომპიუტერული პროგრამების სასწავლო კურსი“, გამომც., „პალიტრა L“, თბილისი. 2008. დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია კომპიუტერული ვერსია -კომპიუტერული ვიდეოსამონტაჟო პროგრამის „ Adobe Premiere PRO “ სასწავლო კურსი, რომელიც საერთოდ არაა კურსში გამოყენებული.
- კურსში „განაწილებული და პარალელური გამოთვლები“ წინაპირობაა პითონი, თუმცა თავად კურსში მაგალითები მუშავდება c++ ენაზე. ძირითად ლიტერატურად მითითებულია სახელმძღვანელო, სადაც მაგალითები კიდევ ერთ პროგრამულ ენაზე - Java-ზე სრულდება: გაჩეჩილაძე ლ., ნონიკაშვილი ლ. მრავალნაკადური დაპროგრამება Java ენაზე. სტუ. „ტექნიკური უნივ.“, თბილისი. 2016. საჭიროა, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს კურსის წინაპირობა, საკითხები და ლიტერატურა.
- კურსში „გეოსაინფორმაციო სისტემები“ ძირითად ლიტერატურად მითითებულია „გეოინფორმაციული სისტემები სატყეო საქმეში“, რაც არ წარმოადგენს გეოსაინფორმაციო სისტემების შესწავლის სახელმძღვანელოს. ასევე არ ჩანს კურსში, რომელი პროგრამა გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად.
- კურსის „კომპიუტერული ხელვა“ მიზანში არასწორადაა მითითებული: "შეასწავლოს

მხედველობითი ინფორმაციის დამუშავებისა". იგულისხმება ციფრული გამოსახულება. სწავლის შედეგებში მითითებულია: აკეთებს კვალიფიციურ და დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული საკვლევი ობიექტის მდგომარეობის და ფუნქციონირების შესახებ, კონკრეტულ საკითხზე აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს, ეხმარება თავის კოლეგას კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაში და აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას. ეს შედეგები არის ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია, როგორ მიიღწევა კურსში. • კურსებში „დიდი მონაცემების მართვა“, „დრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები“, „ბლოკჩეინი და მისი გამოყენებები“ პრაქტიკული სამუშაო არის პრაქტიკული მაგალითების მიმოხილვა და იმდენად ფართოა, რომ მათი პრაქტიკული შესრულება შეუძლებელი იქნება კურსის განმავლობაში. დასაზუსტებელია, რას მოიცავს პრაქტიკული დავალებები. კურსში „ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა“ ძირითადი ლიტერატურა არ შეიცავს ბლოკჩეინთან და კრიპტოვალუტასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ ეხება იმ მათემატიკურ და კრიპტოგრაფიულ საფუძველს, რომელსაც ეფუძნება ეს ტექნოლოგიები. საჭიროა შესაბამისი ლიტერატურის მითითება. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს; თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას;	მტკიცებულებები/ინდიკატორები • „ინფორმატიკა“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსები • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან რეკომენდაციები: • დაკორექტირდეს „ხელოვნური ინტელექტი ვებ-საიტებში“ სილაბუსი, რომ მიზნები, შედეგები და შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს კურსის დასახელებასთან. • დაკორექტირდეს „მობილური აპლიკაციების დაპროგრამება Android-თვის“ სილაბუსი, რომ აღმოიფხვრას თანაკვეთა სხვა კურსის თემებთან. • სასწავლო კურსებში „ფიზიკა1“, „ფიზიკა2“ და „ფიზიკა3“ დავალებების შეფასებები განაწილდეს სემესტრის განმავლობაში. • კურსებში: ოპერაციული სისტემების საფუძვლები, კომპიუტერული სისტემების არქიტექტურის საფუძვლები, კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზება, ინტელექტუალური სენსორები, მიკროკონტროლერების არქიტექტურა, დრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები, ჩამენებული სისტემები, კომპიუტერული სიმულაცია -
---	--

დამხმარე ლიტერატურაში რუსულენოვანი წიგნები ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანი წიგნებით. • კურსში „ინტელექტუალური სენსორები“ განახლდეს დამატებითი ლიტერატურა. • კურსი „სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა“ გასწორდეს სრულად. • კურსში „სი„შესავალი კონტროლერებში“ შეიცვალოს გამოყენებული სისტემები და ლიტერატურა. • კურსში „აუდიო-ვიდეო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია“ განახლდეს და გასწორდეს ლიტერატურა კურსის საკითხების შესაბამისად. • კურსში „განაწილებული და პარალელური გამოთვლები“ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს კურსის წინაპირობა, საკითხები და ლიტერატურა. • კურსში „გეოსაინფორმაციო სისტემები“ ძირითად ლიტერატურად შეირჩეს გეოსაინფორმაციო სისტემების საფუძველთან დაკავშირებული ლიტერატურა. ასევე მიეთითოს, რომელი პროგრამა გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად. • კურსში „კომპიუტერული ხედვა“ ჩასწორდეს კურსის მიზნები. ასევე ჩასწორდეს კურსის სწავლის შედეგები ან შეიცვალოს კურსის შინაარსი ისე, რომ არსებული სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი. • კურსებში „დიდი მონაცემების მართვა“, „ღრუბლოვანი და გრიდ-ტექნოლოგიები“, „ბლოკჩეინი და მისი გამოყენებები“ დაზუსტდეს, რას მოიცავს პრაქტიკული დავალებები. • კურსში „რობოტიკის“ ლაბორატორიული სამუშაოები შესრულდეს საბაკალვრო დონის სისტემებზე. • კურსში „ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა“ დაემატოს კურსის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურა. გნალების ციფრული დამუშავება“ მიეთითოს, რა პროგრამა გამოიყენება სიგნალების დამუშავებისთვის პრაქტიკულ დავალებებში. • კურსში „ზოგადი ელექტრონიკა“ დაემატოს ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება. • კურსში „მულტიმედია ტექნოლოგიების საფუძვლები“ პრაქტიკული ნაწილი მოვიდეს თეორიულ ნაწილთან შესაბამისობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გადაიხედოს ყველა კურსი (არა მხოლოდ ჩამოთვლილი მაგალითები) და შევიდეს შესაბამისი შესწორებები. კურსების გადახედვა შეიძლება მოხდეს კოლეგების მიერ (ე.წ. peer review)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
